

САНКТ-ПЕТЕРБУРГ  
ДЛЯ ПОДДЕРЖАНИЯ  
СВОБОДЫ

K 44.261  
2

ГЛАВА ПОСЛАНИЯ  
СВЯТОГО ПАВЛА



БЫСТАРУЩИЕСЯ  
СВЯЗЬЮ  
МОИХ СВЯБОЛЬ  
СВЯБРЕННОВЪ

საქართველოს სრ პეტი მრავალობის სამინისტრო  
„სამტრეასტი“


გ. პოსტი

ნაკლებდაწანიშული ცეფრის  
თაორი ღვინის ფაქტოლოგია



გამომცემობა „საგზოთა საქართველო“

- თბილისი — 1974



ბროშურაში განხილულია ნაკლებდაუანგული ღვი-  
ნოების წარმოების როგორც საზღვარგარეთული, ისე  
ჩვენში შემუშავებული სქემები და ქართული ვაზის ის  
ჯიშები, რომლებიც ასეთი ღვინის დასამზადებლად გა-  
მოიყენება.



## ნაკლებდაშანგული ღვინოების ზარმოვაზის თანამედროვე მდგომარეობა

ალკოჰოლური დუღილის დამთავრების შემდეგ ღვინო თვითდაწმენდის უნარს იჩენს. ეს პროცესი კარგად მიმდინარეობს ღვინის ბიოლოგიური წონასწორობის დროს, რაც დაშოკიდებულია მის შედგენილობაზე, ალკოჰოლურ დუღილზე, მოსავლის წელიწადზე. იშვიათია, რომ დუღილის დამთავრების შემდეგ დაწმენდილი ღვინო დიდი ხნის განმვალობაში ინარჩუნებდეს სტაბილურ გამჭვირვალობას, ივითარებდეს კარგ გემოსა და სურნელებას. ზოგიერთ შემთხვევაში ღვინო საჭიროებს ან გადაღებას, რომლის დროსაც ღვინოზე დადებით გავლენას ახდენს მასში შეღწეული ჰაერის უანგბადი, ან ისეთი მეთოდების გამოყენებას, როგორიცაა: ფილტრაცია, გაწებვა, თბური დამუშავება და სხვ.

ღვინოში შეღწეული ჰაერის უანგბადი ღვინიდან უმდგრად ნივთიერებებს გამოლექავს. ამ ფაქტორის გამოყენებით მე-ღვინეები ხანგრძლივი დაძველებით და ხშირი გადაღებით ღვინოს სტაბილურ გამჭვირვალობას ანიჭებენ. ძველი ღვინო მდგრადი თვისებებითა და სურნელებით სრულიად განსხვავდება ახალგაზრდა ღვინისაგან: ქრება ახალგაზრდა ღვი-

ნისათვის დამახასიათებელი ხილის არომატი, სიხალისე დამუშავების აღგილს გემოსა და სურნელების ახალი ტონი იჭერს.

ამჟამად მნიშვნელოვანია ისეთი ტექნოლოგიური წესების შემუშავება, რომელიც უფანგბადო დამუშავებაზე იქნება დამყარებული.

ამ მიმართულებით საყურადღებოა ნაკლებდაუანგული სუფრის თეთრი ღვინოების წარმოების გერმანული ტექნოლოგია.

ამ ტექნოლოგიის ჩამოყალიბება ახალგაზრდა, ხალისიანი ღვინოებისადმი მომხმარებელთა ინტერესმა განაპირობა.

გერმანული ტექნოლოგიით ნაკლებდაუანგული ღვინოები თითქმის ჰაერთან შეუხებლად მზადდება. ჰაერის უანგბადისაგან მას გოგირდოვანი ანჰიდრიდი იცავს. ასეთი გზით ღია ფერის, ნაზი, დაუანგვისაგან თავისუფალი ბუკეტის, ხალისიანი გემოს ღვინოები მიიღება.

ნაკლებდაუანგულ ღვინოებს გერმანიაში რამდენიმე წესით ამზადებენ.

ბენტონიტისა და სიცივის გამოყენებით ღვინოების დამუშავების გერმანული სქემა:

ყურძნის გადამუშავება;

ტენილის დაწყობა სულფიტაციით;

15—18°-ზე ღულილი 12—14 ღლის განმავლობაში;

დაღულებიდან ორი კვირის შემდეგ საფუვრების ლექიდან მოხსნა, სულფიტაცია 30 მგ/ლ;

↓

პირველი გადაღებიდან ერთი თვის შემდეგ მეორე გადაღება,  
სულფიტაცია 30 მგ/ლ;

↓

მეორე გადაღებიდან ერთი თვის შემდეგ მესამე გადაღება.  
კუპაჟი, სისხლის ყვითელი მარილითა და ბენტონიტით  
დამუშავება, სულფიტაცია 30 მგ/ლ;

↓

14 დღის შემდეგ ბერლინის ლაუგარდისა და ბენტონიტის  
ლექიდან მოხსნა, 5 დღის განმავლობაში მინუს  $5^{\circ}$ -ზე დამუშავება,  
სულფიტაცია 30 მგ/ლ;

ლვინის ქვის ლექიდან მოხსნა, მინუს  $5^{\circ}$ -ზე გაფილტვრა,  
სულფიტაცია 30 მგ/ლ;

↓

ერთი თვის შემდეგ გამაუსნებოვნებელ ფილტრში გაფილტვრით  
ჩამოსხმა.

სითბო-სიცივის გამოყენებით ლვინის დამუშავების გერმანულ სქემაში იგულისხმება:

დადუღებიდან ორი კვირის შემდეგ საფუვრების ლექიდან  
მოხსნა, სულფიტაცია 30 მგ/ლ;

↓

პირველი გადაღებიდან ერთი თვის შემდეგ მეორე გადაღება,  
კუპაჟი, სისხლის ყვითელი მარილით დამუშავება, სულფიტაცია 30 მგ/ლ;

↓

14 დღის შემდეგ ბერლინის ლაუგარდის ლექიდან მოხსნა,  
გაფილტვრა, დამუშავება 5 დღის განმავლობაში, გაცხელებით  
 $70^{\circ}$ -ზე და სიცივით — მინუს  $5^{\circ}$ -ზე, სულფიტაცია 30 მგ/ლ;

↓  
 ღვინის ქვის ლექიდან მოხსნა, მინუს 5°-ზე გაფილტვრა.  
 სულფიტაცია 30 მგ/ლ;

↓  
 ერთი თვის შემდეგ გამაუსნებოვნებელ ფილტრში გაფილ-  
 ტვრით ჩამოსხმა.

ორდინარული და სამარკო ღვინოებისათვის ღვინომასა-  
 ლების დამუშავების ტექნოლოგია თითქმის ერთნაირია, გან-  
 სხვავება მნიშვნელოვანია არის, რომ მაღალხარისხის ხოვან ღვინოებს  
 ჩამოსხმის შემდეგ ორ-სამ წელს და ზოგჯერ მეტ ხანსაც ბოთ-  
 ლებში აძველებენ. ღვინოების დაძველება შეიძლება არა მარ-  
 ტო ბოთლებში, არამედ რკინა-ბეტონის რეზერვუარშიც  
 ( $10^{\circ}$ -სა და უფრო დაბალ ტემპერატურაზე).

## ღვინოზი მიმღინარე ზანგვა-აღდგენითი პროცესები

ღვინის შემაღენელი ელემენტების უანგბადით დაუანგვის  
 მექანიზმს კარგად ხსნის ა. ბახის ნელი დაუანგვის თეორია,  
 რომლის თანახმად უანგბადის გააქტივება პირველადი ზეჟან-  
 გების წარმოშობით ხდება: თვითუანგვადი ნივთიერების ჭარ-  
 ბი ენერგიის გავლენით უანგბადის მოლეკულაში წყდება კავ-  
 შირი და ორივე ატომი დასაუანგ სუბსტრატს უერთდება.  
 წარმოშობა გაცილებით მაღალი დამუანგველი პოტენციალის  
 მქონე ორგანული ზეჟანგი. ფერმენტ პეროქსიდაზას მოქმე-  
 დებით ზეჟანგილან აქტიური უანგბადის მოწყვეტის გამო და-  
 უანგვითი პოტენციალი კიდევ უფრო მაღლა იწევს და შესა-

ბამისი სუბსტრატის დაუანგვის შესაძლებლობა წარმოიშენება ცნობილია, რომ გამოწეხილი ტკბილი ხარბად შთანთქავს უანგბადს და სწრაფად იძენს ყავისფერს, რაც ფერმენტების მოქმედების შედეგია. ტკბილში ჩნდება ქინონები, რომელიც აღვილად უანგვად ნივთიერებებს — ასკორბინმჟავას, ოქსი-მჟავებს, დიოქსიმალეინისმჟავას უანგვს და ოვითონ კი პოლიფენოლებამდე აღდგება. როდესაც ყველა აღვილად უანგვადი ნივთიერება ქინონებით დაიუანგვება, ამ უკანასკნელის რაოდენობა მატულობს ისევ პოლიფენოლების დაუანგვის ხარჯზე, შემდეგ უანგბადის მოქმედებით ის ოქსიქინონებში გადაღის, კონდენსირდება და ტკბილს ყავისფერს სძენს.

დაუანგული ტკბილის ფერი მარტო კატეხინების გარდა-  
ქმნის პროდუქტების შედეგი როდია, ის დამოკიდებულია აგ-  
რეთვე ზოგიერთ პოლიფენოლურ ნაერთზე — პროტოკატე-  
ხინის მჟავაზე. ტკბილისა და ღვინის ფერის წარმოქმნაში დიდ  
როლს ასრულებენ აგრეთვე მარტივი ფენოლური ნაერთები.

ღვინოში მიმდინარე უანგვა-აღდგენითი პროცესები იყო-  
ფა ფერმენტაციულ და არაფერმენტაციულ ეტაპებად.

ა. როდოპულოს მონაცემების მიხედვით, დაწმომის დროს  
და მძაფრი დუღილის დაწყებამდე ტკბილში არის მძლავრი  
ღამჟანგველი პოლიფენოლოქსიდაზური სისტემა:

### პოლიფენოლიჭქინონი.

ყურძნის გადამუშავების დროს აღმდგენელი ნივთიერე-  
ბის — ასკორბინმჟავას არსებობის გამო ტკბილის რედოქს-  
პოტენციალი 325 მლვ-ს აღწევს. ტკბილის ჰაერზე დაუანგვის  
გამო რედოქსპოტენციალი თანდათან იზრდება და 470 მლვ-  
მდე ადის. ეს პოტენციალი დამახასიათებელია სისტემისათ-

ვის — პოლიფენოლი +  $\frac{1}{2}O_2$  პოლიფენოლქსიდაზა

ქინონი + ასკორბინმჟავა → პოლიფენოლი და ა. შ.

დუღილის დაწყების შემდეგ მიმდინარეობს ქინონების აღ-  
დენა. პირველ რიგში ეს საფუვრის წმინდა კულტურის მი-  
შატების ღროს შეტანილი მძლავრი აღმდგენლის — გლუტა-  
თიონის, ხოლო შემდეგ დუღილის პროცესში საფუვრების  
უჯრედებიდან გამოყოფილი აღმდგენელი ნივთიერებების მო-  
ქმედებით ხდება.

ქინონი + გლუტათიონი (Red) → პოლიფენოლი + გლუტა-  
თიონი (Ox).

ამ სისტემის პოტენციალი 215 მლვ-მდეა. დუღილის პრო-  
ცესში საფუვრების უჯრედებიდან გადადის ახალი დამუანგვე-  
ლი ფერმენტები — ალკოჰოლდეპილროგენაზა და ციტოქრო-  
მოქსიდაზა.

დუღილის დამთავრების შემდეგ ღვინო (ცეროპული წე-  
სით დაყენებული) დამუანგველ ფერმენტებს აღარ შეიცავს  
და იწყება არაფერმენტაციული უანგვითი პროცესები, რო-  
მელთა ღროს ქინონების წარმოშობა მძიმე ლითონების მოქ-  
მედებით ხდება.

ტებილსა და ღვინოში მიმდინარე არაფერმენტაციული  
უანგვა-აღდგენითი პროცესებიდან პირველ რიგში აღსანიშნა-  
ვია ოქსიმეტავების დაუანგვა მძიმე ლითონების მონაწილეო-  
ბით.

ცნობილია, რომ სამვალენტოვან რკინას არ შეუძლია  
აღადგინოს ღვინომჟავა, მაგრამ ენერგიულად უანგვს დიოქ-  
სიმალეინისმჟავას.

ორვალენტოვანი რკინა ააქტიურებს მოლეკულურ უანგ-  
ბალს, რომელიც ღვინომჟავას უანგვს. ეს რეაქცია კატალი-

ზურად მიმდინარეობს, რომლის დროსაც  $\text{Fe}^{2+}$  თანდათანობით იქანგება  $\text{Fe}^{3+}$ -მდე. შემდგომში დიოქსიმალეინმჟავას მოქმედებით  $\text{Fe}^{3+}$  ნაწილობრივ აღდგება.

ღვინო შეიცავს დაუანგულ ნივთიერებებს — ქინონებს, რომელიც აფერხებს ღვინომჟავას დაუანგვას, რადგანაც მას  $\text{Fe}^{2+}$  სწრაფად გადაჰყავს  $\text{Fe}^{3+}$ -ში.

კასრში ღვინის ხანგრძლივად შენახვისას წარმოიშობა ღვინომჟავა რკინისა და მუაუნმჟავა რკინის მარილები, რომლებიც კატალიზატორად გვევლინება და ღვინომჟავას დაუანგვას იწვევს.

კასრში შენახვისას და გადავსების დროს ღვინოში შეღწეული ჰაერის გავლენით ღვინომჟავას დაუანგვა შუალედ პროდუქტებამდე — გლიოქსალმჟავამდე, დაბოლოს, მუაუნმჟავამდე მიმდინარეობს.

გაქარული ღვინო არასდროს არ შეიცავს დიოქსიმალეინის მეავას, რადგანაც ის სწრაფად იქანგება დიკეტოქარვისმჟავამდე. ეს უკანასკნელი დეკარბოქსილირდება და ჰაერის უანგბადით დაუანგვის გზით გლიოქსალისმჟავაში, და ბოლოს, მუაუნმჟავაში გადადის.

სხვაგვარად წარმოებს ღვინომჟავას დაუანგვის რეაქცია ბოთლებში მოთავსებულ ღვინოში. აქ ღვინომჟავა დიოქსიმალეინისა და დიკეტოქარვისმჟავამდე იქანგება. უანგბადის გახარჯვის შემდეგ ღვინოში ჩნდება დიოქსიმალეინმჟავას მცირე რაოდენობა. ამას გარდა, ღვინო შეიცავს გლუტათონსა და ცისტეინს, რომელიც დიკეტოქარვისმჟავას დიოქსიმალეინისმჟავამდე აღადგენს.

უანგვა-აღდგენითი სისტემის — დიოქსიმალეინმჟავა  $\Rightarrow$  დიკეტოქარვამჟავას არსებობა იწვევს რედოქსპოტენციალის



მკვეთრ შემცირებას (350 მლვ-დან 140 მლვ-მდე). ეს სისტემა ღვინოში შეიძლება გარკვეულ პირობებში, მძიმე ლითონთა მარილების მოქმედებით, ღვინომჟავას დიოქსიმალეინისმჟავამდე დაუანგვით გაჩნდეს.

ღვინომჟავა და მჟაუნმჟავა რკინის მარილები, როგორც კატალიზატორები, დადებით შედეგს იძლევიან მხოლოდ ღვინომჟავას დიოქსიმალეინისმჟავამდე დაუანგვის პირველ ეტაპზე, რომლის დროსაც აუცილებელია ჟანგბადის მონაწილეობა. შემდგომი ჟანგვა-ალდგენითი პროცესები აერობულ პირობებში დეპიდრატაციისა და ჰიდრატაციის გზით მიმდინარეობს. ამ ეტაპზე ჟანგბადი მავნებელია, რაღაც მისი გავლენით დიოქსიმალეინმჟავა შეიძლება მჟაუნმჟავამდე დაიუანგოს, რის გამოც ღვინის დაძველება შეუძლებელი გახდება.

ცნობილია, რომ აერაციის სხვადასხვა პირობებში ღვინოში ჟანგბადი სხვადასხვა რაოდენობით იხსნება. თუ ღვინოს გადავიღებთ სწრაფად, შეუწყლრევლად და გადმოსაშვები მილის ბოლოს სითხეში მოვათავსებთ, ჟანგბადი ნაკლებად გაიხსნება, ხოლო, თუ ღვინოს ჭურჭლიდან დაწნევით გადმოვიღებთ, ჟანგბადი მეტი რაოდენობით გაიხსნება. ღვინოში ჟანგბადი დიფუზიის გზით ღრმა ფენებამდე აღწევს, ხოლო შენჯლრევის დროს მდგრადი ჭუსპენზის წარმოშობის გამო ხსნადობა ჩქარდება.

ჟანგვა-ალდგენით პროცესებში აქტიურ ნივთიერებად გვევლინება არა ჟანგბადი, არამედ მის მიერ წარმოქმნილი ზეჟანგები. დამჟანგველი ნივთიერებების ჯამი უნდა დანაწევრდეს მოლეკულურ ხსნად ჟანგბადად, ორგანული ზეჟანგების აქტიურ ჟანგბადად და მძიმე ლითონთა იონებად. მოლეკულური ჟანგბადი თუ დაჟანგვითი პროცესების პოტენცი-



ური მარაგია და მოითხოვს გააქტივებას, ორგანული და შემოძლიერებული მომონების ზეჟანგები თვით წარმოადგენს უანგვითი პროცესების აქტივატორებს.

დაუანგვით პროცესებში უანგბადის დასახასიათებლად პ. კოჩერგას მიერ შემოღებულია დამჟანგველი ნივთიერებების ჯამის — უანგბადის რიცხვის განსაზღვრა.

უანგბადის გახსნისას ღვინოში მიმღინარეობს შეუქცევადი რეაქციებიც, რაც ღვინის ბუკეტისა და გემოს ცვლილებას იწვევს. შემდგომში, უანგბადის შეღწევის აღკვეთისას ხდება დაკარგული თვისებების არა აღდგენა, არამედ ახალი თვისებების წარმოშობა. ღვინის კომპონენტების დაუანგვის აცილება მხოლოდ ყველა ტექნოლოგიური ოპერაციის უჟანგბადო პირობებში ჩატარებით შეიძლება.

მკვლევარები, უანგვა-აღდგენითი პოტენციალისა და ღვინის ორგანოლეპტიკური თვისებების კავშირის განსაზღვრისას, მივიღნენ იმ დასკვნამდე, რომ ღვინოს სასიამოვნო არომატი მაშინ აქვს, როდესაც ბუკეტის განმაპირობებელი ნივთიერებები აღდგენილია. დაბალი უანგვა-აღდგენითი პოტენციალი არა მარტო გავლენას ახდენს ღვინის გემოზე, არამედ განსაზღვრავს კიდეც სიმღვრივეთა წინააღმდეგ სტაბილურობას.

## ნაკლებდაშანებული სუფრის თეთრი ღვინის წარმოაბის ტექნოლოგიური თავისებურებანი

სუფრის თეთრი ღვინის წარმოების დროს სულ უფრო ხშირად შეიმჩნევა უანგბადის უარყოფითი გავლენა. ღვინო კისრში დაძველების შემდეგ ხშირად კარგავს სიხალისეს,



სირბილესა და ნაყოფის არომატს. ხანგრძლივი დაძველებული შემდეგ თეთრი ღვინოები ხშირად არასასიამოვნო უხეშ გე-  
მოსა და ე. წ. გადაუანგვის ტონს იძენენ.

ორგანოლეპტიკური თვალსაზრისით გადაუანგვა შეიძლება  
ზავახასიათოთ, როგორც გემოს დაშლა, გაუხეშება ზოგჯერ  
მაღიერიზაციის ტონით, რომელიც უკიდურესად გამოხატული  
უორმების დროს „თაგვის“ ტონში გადადის.

ა. როდობულო, ვ. ნილოვი, ე. დათუნაშვილი და სხვები  
ღვინოში გადაუანგვის ტონების გაჩენას ამინომეუვათა დაუან-  
გვით დეზამინირებას მიაწერენ.

ვ. ნილოვისა და ე. დათუნაშვილის აზრით, დაუანგვის  
პრობლემას აქვს ორი მხარე: 1. უანგბადთან კონტაქტისაგან  
იზოლირება, რაც არასასურველია, რადგანაც ამ დროს გამო-  
ირიცხება დაძველების დაუანგვითი პროცესების როგორც  
უარყოფითი (ალდეჰიდების წარმოქმნა), ისე დადებითი (ტა-  
ნიდების დაუანგვა) მხარეები. 2. მინიმუმამდე დაყვანა ან ვა-  
მოძევება იმ ნივთიერებებისა, რომელიც დაუანგვისას ღვინის  
ხარისხის გამაუარესებელ პროდუქტებს წარმოშობს.

ამ პრობლემის გადაწყვეტა შეიძლება აზოტოვანი ნივთი-  
ერებების, განსაკუთრებით ამინომეუვების მაქსიმალური შემ-  
ცირებით; ისეთი კიშების შერჩევით, რომელთაც სიმწიფის  
პროცესში აზოტის ჭარბად დაგროვების მიღრეკილება არა  
აქვთ; 14—18° ტემპერატურის პირობებში დუღილით, რად-  
გან ამ დროს ყველაზე ნაკლებად გროვდება ღვინოში აზო-  
ტოვანი ნივთიერებანი; დუღილის დამთავრებისთანავე ღვი-  
ნომასალის საფუვრების ლექიდან გადაღებით.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ, ბევრი ავტო-  
რის აზრით, ამინომეუვები ღვინოზე დადებითად მოქმედებენ.

უფრო მეტიც, შამპანურის ხარისხის ამაღლებისათვის ა. ფროლოვ-ბაგრევი ისეთი ავტოლიზური მასალების გამოყენებას ურჩევენ, რომლებიც ამინომჟავების მნიშვნელოვან რაოდენობას შეიცავენ.

ზოგიერთის შეხედულებით, ღვინის დაუანგვა გამოწვეულია აცეტალდეპიდის დაგროვებით. მკვლევარების აზრით, ალდეპიდის დაგროვება მით უფრო მეტად ხდება, რაც უფრო მეტი რაოდენობის გოგირდოვანი ანტიდრიდი მონაწილეობს დულილის პროცესში. ამიტომ აუცილებელია, თეთრი სუფრის ღვინოების წარმოებისას ფრთხილად მოვეპყრიან  $\text{SO}_2$ -ის გამოყენებას. დაწლომის დროს უნდა შეიზღუდოს  $\text{SO}_2$ -ის დოზები. მაღლა ტკბილისა და საფუვრების ლეჭ-ზე მყოფი ღვინის სულფიტაცია დაუშვებელია.

ნაკლებდაუანგული ღვინოების წარმოებაში გადაუანგვის თავიდან აცილებისათვის უანგბადთან კონტაქტისაგან იზოლირებას შეიძლება მოვერიდოთ, რადგანაც, როგორც აღვნიშნეთ, ღვინის სტაბილიზაციის არსებული საშუალებების გამოყენებით შეიძლება ღვინოს სტაბილურობა მოკლე დროში მივანიჭოთ. მაგრამ აქ სტაბილურობის გარდა ღვინის ორგანოლეპტიკური მაჩვენებლების განვითარებაც იგულისხმება.

ნაკლებდაუანგული ღვინოები ამ მხრივ, რა თქმა უნდა, დაძველებული ღვინოებისაგან განსხვავდება, იგი ინარჩუნებს ნაყოფის არომატს, ნაზია და ხალისიანი. მისი ეს თავისებურება მომხმარებელთა მოწონებას იმსახურებს.

1961—1963 წწ. რთვლის სეზონში შევისწავლეთ ახალი ტიპის სუფრის ღვინის წარმოების პირობები დასავლეთ საქართველოში. საცდელად ავილეთ ზესტაფონის, საჩხერის, ორჯონიქიძის, მაიაკოვსკისა და ქედის რაიონებში გავრცელებუ-

ლი ვაზის ჯიშები: ციცქა, ცოლიკოური, ალიგოტე, ძელული კაბისტონი, ღონდლლაბი, კუნძა, გორული მწვანე, თავკვერი. ყურადღებას ვაქცევდით უხვმოსავლიანი, ფართოდ გავრცელებულ და პერსპექტიულ ჯიშებს.

ნაკლებდაუანგული ღვინოებისათვის გამოვიყენეთ გერმანული ტექნოლოგიური სქემა — ბენტონიტისა და სიცივის გამოყენებით და ჩვენს მიერ შერჩეული ტექნოლოგიური სქემა, რომელიც ჰაერთან ნაკლებ შეხებასა და ღვინოში დამუანგავი ნივთიერებების შემცირებას უზრუნველყოფს.

ყურძენს 17—20 % შაქრიანობისა და 7—10 % მუავიანობის დროს ვკრეფდით. მის გადამუშავებას ეგუტფორში და კალათიან ჭნებში ან ხრახნილიან საწრეტში ვახდენდით. თვითნადენსა და პირველ ფრაქციის დასაწდომად დიდი ტევადობის ჭურჭელში ვათავსებდით, ვუკეთებდით სულფიტაციის შეძლებისდაგვარად მინიმალური დოზებით. სხვადასხვა ტემპერატურული პირობების დროს ვიყენებდით გოგირდოვან ანჰიდრიდს 60—120 მგ/ლ, იშვიათად — 150 მგ/ლ. ტკბილს დასაწდომად 16—18 საათს ვაჩერებდით, შემდეგ კი ვათავსებდით სადუღარ კასრებში, ვუმატებდით 2—3 % საფუვრის ჭმინდა კულტურებს და სადუღარ სარქველებს ვახურავდით. მძაფრი დუღილის დამთავრების შემდეგ კასრებს ვავსებდით. სიწმინდის პირველი ნიშნების შემჩნევისას ნახევრად დახურული წესით პირველ გადაღებას ვიწყებდით. საფუვრების ლექილან მოხსნის წინ ღვინოში გსაზღვრავდით ტიტრულ მუავიანობას, საერთო და თავისუფალ გოგირდოვანმუავის. გადაღების დროს ღვინის სულფიტაციით გოგირდოვანმუავის საერთო რაოდენობა აგვიავდა 100—120 მგ/ლ. პირველი გადაღებიდან 1—1,5 თვის შემდეგ ღვინოში ვსა-

ზღვრავდით საერთო და თავისუფალ გოგირდოვანმჟავას, ვაწარმოებდით მეორე გადაღებას და სულფიტაციას იმ ვარაუდით, რომ თავისუფალი გოგირდოვანმჟავა აგვეყვანა 20—30 მგ/ლ. საწარმოო პირობებში ცდების დროს ვახდენდით ღვინოების ეგალიზაციას. ეგალიზირებულ ღვინოებს ვამუშავებდით ასკანგელითა და სისხლის ყვითელი მარილით; 10—14 დღის შემდეგ ღვინოებს ვხსნიდით ბერლინის ლაუვარდის ლექიდან, ვფილტრავდით, ვუკეთებდით სულფიტაციას იმ ვარაუდით, რომ თავისუფალი  $\text{SO}_2$  აგვეყვანა 40—60 მგ/ლ. ღვინოებს ვინახვდით  $12^{\circ}\text{სა}$  და დაბალ ტემპერატურაზე 2,5—4 თვეს, ვამოშმებდით თავისუფალი და საერთო გოგირდოვან ანჭიდრიდს, უანგბადს, Eh-ს, pH-ს. მიგმართავდით დამატებით სულფიტაციას იმ ანგარიშით, რომ თავისუფალი გოგირდოვანმჟავა ყოფილიყო არა უმეტეს 30 მგ/ლ, ღვინოს ვფილტრავდით და ბოთლებში ვასხამდით.

ბოთლებს გოგირდოვანმჟავას 2%-იანი ხსნარით, საცობებს კი ამ ხსნარში 24 საათის განმავლობაში დალბობით ვამუშავებდით.

ჩამოსხმის შემდეგ ბოთლებს ვაწყობდით შტაბელებად. ღვინოში ვსაზღვრავდით გოგირდოვან ანჭიდრიდს, საერთო უანგბადს, pH-ს, Eh-ს.

გერმანული და ჩვენს მიერ შერჩეული ტექნოლოგიური სქემებით დაყენებული ღვინოები დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. უკანასკნელი ხშირ შემთხვევაში უკეთესი ორგანოლეპტიკური მაჩვენებლებითაც ხასიათდება, ამიტომ ნაკლებდაუანგული ღვინოების მიღების ზემოაღწერილი ტექნოლოგიური წესი წარმოებაში წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ.

ჩვენი ტექნოლოგიური წესი გერმანულ ტექნოლოგიას შეძლებით ნაკლებ ოპერაციებს შეიცავს, ამიტომ უფრო ეკონომიურია.

ცნობილია, რომ ღვინის ამღვრევის გამომწვევი ნივთიერებებია: ცილები, ფოსფორშემცველი ორგანული, არაორგანული შენაერთები და მძიმე ლითონები, რომლებიც ღვინოში კოლოიდების სახითაა.

ცილებს, საერთოდ აზოტოვან ნივთიერებებს, როგორც საფუვრებისათვის აუცილებელ საკვებ მასალას, ღვინის წარმოებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. გარდა ამისა, ის ღვინის გემოსა და არომატზეც ახდენს გავლენას.

ცნობილია, რომ ღვინოში აზოტი დიდი რაოდენობით გროვდება, თუ დუღილი  $5-10$  ან  $30-35^{\circ}$ -ზე მიმდინარეობს.

აზოტოვან ნივთიერებათა გაზრდის აცილების მიზნით, ჟველაზე ეფექტურია  $15-20^{\circ}$ -ზე დუღილი და მისი დამთავრებისთანავე ღვინომასალის საფუვრის ძირითადი მასის ლექიდან გადაღება, რადგანაც ალკოჰოლური დუღილის დამთავრების შემდეგ საფუვრებს ათვისებული აქვთ ტკბილის აზოტის  $50-60\%$ , რომელიც ავტოლიზის შედეგად ისევ ბრუნდება ღვინოში. ამიტომ ნაკლებდაუანგული ღვინოების წარმოების ტექნოლოგიურ სქემაში პირველ გადაღებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

სიწმინდის პირველი ნიშნები, საფუვრების ძირითადი მასის გამოლექვის გამო, ღვინოს ხშირ შემთხვევაში დუღილის დამთავრებიდან  $1-2$  კვირის შემდეგ ემჩნევა. პირველი გადაღებისათვის სწორედ ეს პერიოდია ხელსაყრელი.

ნახშირორჟანგის ჭარბი რაოდენობის მოსაშორებლად და ჟანგბადით გამდიდრების შემცირების მიზნით პირველი გადა-

ლება ნახევრადდახურული წესით წარმოებს. პირველი განვითარების დროს სულფიტაცია უზრუნველყოფს ღვინოში საფურვების სწრაფად დალექვას, ღვინის შემადგენელი ნაწილების ნაკლებ დაუანგვას. თუ ეს მოთხოვნა დაცულია, მაშინ 20—30 დღის შემდეგ ღვინო დაიწმინდება.

პირველი გადალების დროს სულფიტაცია შეიძლება, თუ ღვინოში გოგირდმჟავას საერთო რაოდენობა 100—120 მგ/ლ, ისეთ ღვინოებში კი, სადაც pH 3-ზე მეტია — 150 მგ/ლ.

ალკოჰოლური დუღილის დამთავრების შემდეგ ღვინოში გოგირდოვანი ანტიდრიდის თავისუფალი რაოდენობა მხოლოდ ნაშთის სახითაა, საერთო რაოდენობა კი თითქმის განახევრებულია. ამიტომ თუ დაწყომისას  $\text{SO}_2$ -ის დოზა იყო 100 მგ/ლ და დუღილის შემდეგ ღვინოში დარჩა  $\text{SO}_2$ -ის საერთო რაოდენობა დაახლოებით 50 მგ/ლ, მისამატებული  $\text{SO}_2$ -ის რაოდენობა უნდა იყოს 100 მგ/ლ.

მ. უნგურიანისა და გ. ორეშვინას მიერ შემუშავებულ ნაკლებდაუანგული ღვინის ტექნოლოგიაში თითოეული ოპერაციის დროს გამოყენებული  $\text{SO}_2$ -ის დოზა 30 მგ/ლ ვერ უზრუნველყოფს მორიგ օპერაციამდე თავისუფალი  $\text{SO}_2$ -ის ისეთი რაოდენობით შენარჩუნებას, რომელიც ღვინის დაუანგვას აგვაცილებს.

ექსპერიმენტებით დავრწმუნდით, რომ ნაკლებდაუანგული ღვინოების მეორე გადალება სისხლის ყვითელი მარილითა და ასკანგელით დამუშავებასთან ერთად კარგ შედეგს იძლევა.

ღვინის დაჩქარებით დამუშავების მეოდები ძირითადად ღვინიდან მძიმე ლითონების, მიკროორგანიზმების, უხსნადი

ლვინომჟავა მარილებისა და ცილების გამოლექვას გულიშემათავის  
ხმობს.

ამ მეთოდებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია თერმული  
დამუშავება. გაცხელება გამოიყენება ლვინიდან ცილოვანი  
ნივთიერებების გამოსალექად. როცა ლვიხო ცილების დიდ  
ჩაოდენობას შეიცავს გაცხელება ლვინოს სტაბილურობას  
შერ ანიჭებს. ამ დროს კარგ შედეგს ლვინის ბენტონიტებით  
დამუშავება იძლევა.

ი. კოხის, ფ. ალბონიქოს, გ. ტროოსტის და სხვების გამო-  
კვლევებით დასტურდება, რომ ბენტონიტებით დამუშავება  
უზრუნველყოფს ლვინიდან ცილების სრულყოფილად გამო-  
დევნას.

რ. ბეგუნოვას, ო. ზახარინას და სხვების ცდებით ირკვევა,  
რომ ბენტონიტების გამწმენდი უნარი, მათ მასტა-  
ბილიზირებელ მოქმედებასთან არ არის დაკავშირებული, რაც  
ბენტონიტების მიერ აზოტის ცილოვანი ფრაქციის სორბცი-  
ოთ აიხსნება. ბენტონიტების ოპტიმალური დოზა უნდა ვეძი-  
ოთ არა იქ, სადაც ბენტონიტმა უკეთ გაწმინდა ლვინო, არა-  
მედ იქ, სადაც თბური გამოცდის დროსაც ლვინო სტაბილუ-  
რობას ინარჩუნებს. ელექტროფორეზული მეთოდის გამოყე-  
ნების შემდეგ მათ დაადგინეს, რომ ბენტონიტებით სწორი  
დამუშავების შემდეგ ლვინიდან სრულიად გამოძევდება ცი-  
ლოვანი ნივთიერებანი, რაც ლვინის მდგრადობის ამაღლებას  
იწვევს.

ლვინოში შემავალი ცალკეული ელემენტებიდან განსაკუ-  
თრებით აღსანიშნავია რკინა. სამეცნიერო ლიტერატურული  
წყაროები მიუთითებს, რომ, თუ რკინის შემცველობა ლვინო-  
ში მეტია — 11 მგ/ლ, მოსალოდნელია ლვინის ამღვრევა. გარ-

და ამისა, რკინა ხელს უწყობს დაუანგვითი პროცესების შეზღუდვას.

მესლინგერის მიხედვით, ცილოვან ნივთიერებათა და რკინის, ტანინისა და რკინის, განსაკუთრებით კი ფოსფორ-მჟავასა და რკინის ერთობლივი მოქმედება ღვინის მდგრადობას დაბრკოლებას უქმნის.

მესლინგერმა ღვინოში მძიმე ლითონთა მარილების შესამცირებლად ღვინომასალების სისხლის ყვითელი მარილით (სყმ) დამუშავებას მიმართა.

სყმ-ით დამუშავება შეიძლება შეუთავსდეს ყველა გამწებავ ნივთიერებას, უმეტეს შემოხვევაში კი მიმართავენ უელატინს, კარგ ეფექტს იძლევა ბენტონიტთან ერთად დამუშავებაც.

აკლებდაუანგული ტიპის სუფრის ღვინოებში ცილოვან ნივთიერებათა გამოსალექად ვიყენებთ ასკანგელს, ამიტომ ხელსაყრელია ასკანგელისა და სყმ-ის ერთობლივი გამოყენება.

ასკანგელითა და სყმ-ით დამუშავების რეუიმის დასატენად ციცქასაგან მიღებული ნაკლებდაუანგული ღვინომასალა პირველი გადაღებიდან ერთი ოვის შემდეგ 1-ლ ცხრილში ნაჩვენები სქემის მიხედვით დავამუშავეთ. წინასწარი სინჯით დავადგინეთ, რომ სყმ-ის დოზა ტოლია 8,5 გ/პლ, უელატინის — 4 გ/პლ, ასკანგელის — 80 გ/პლ, ხოლო ტანინისა — 2,6 გ/პლ.

უელატინისა და ასკანგელის ერთად გამოყენებისას შეგვენდა ასკანგელის სრული და უელატინის ნახევარი დოზა.

1	2	3	4	5	6	7	8	9	
								Hd	Համարական պահանջման արժեք
Հարաբեկութիւն ու հասելութիւն	ավագանութիւն - օպերատորի պահանջման արժեք	ավագանութիւն - օպերատորի պահանջման արժեք	ավագանութիւն - օպերատորի պահանջման արժեք						
10,6	7,8	14,0	139	204	3,08	7,8	լրաց հալուստացրո, Հայմեն- ցըլո, հածո, էալուսանո,	լրաց հալուստացրո, Հայմեն- ցըլո, հածո, էալուսանո,	լրաց հալուստացրո, Հայմեն- ցըլո, հածո, էալուսանո
10,5	7,8	11,9	99	204	3,11	8,0	լրաց հալուստացրո, Հայմեն- ցըլո, հածո, էալուսանո	լրաց հալուստացրո, Հայմեն- ցըլո, հածո, էալուսանո	լրաց հալուստացրո, Հայմեն- ցըլո, հածո, էալուսանո
10,5	7,8	4,0	92	198	3,11	8,27	լրաց լուսականութիւն, Սովորու- թիւնու արդմաւու, կահցո ցըմտո	լրաց լուսականութիւն, Սովորու- թիւնու արդմաւու, կահցո ցըմտո	լրաց լուսականութիւն, Սովորու- թիւնու արդմաւու, կահցո ցըմտո
10,6	7,7	3,5	101	231	3,13	7,55	լրաց հալուստացրո, ՄԱՐԿ սո- ւելաց, նայլուց, Համեմոնուց- լո	լրաց լուսականութիւն, Սովորու- թիւնու արդմաւու, կահցո ցըմտո	լրաց լուսականութիւն, Սովորու- թիւնու արդմաւու, կահցո ցըմտո
10,6	7,7	3,5	109	216	3,13	8,1	լրաց, կամսւալուստիւն, Սովորու- թիւնու, ողնաց լուց, սամա- կնցնու սահելուցուն	լրաց, կամսւալուստիւն, Սովորու- թիւնու, ողնաց լուց, սամա- կնցնու սահելուցուն	լրաց, կամսւալուստիւն, Սովորու- թիւնու, ողնաց լուց, սամա- կնցնու սահելուցուն
10,5	7,8	3,7	117	209	3,11	8,3	լրաց, կամսւալուստիւն, Սովորու- թիւնու, Հայմեն- ցըլո, հածո, էալուսանու, արդմաւու, կահցո ցըմտու	լրաց, կամսւալուստիւն, Սովորու- թիւնու, Հայմեն- ցըլո, հածո, էալուսանու, արդմաւու, կահցո ցըմտու	լրաց, կամսւալուստիւն, Սովորու- թիւնու, Հայմեն- ցըլո, հածո, էալուսանու, արդմաւու, կահցո ցըմտու

ცდით ჩანს, რომ ყველაზე უკეთეს შედეგს სყმ-თან ეძღვად ასკანგელისა და ასკანგელის მთლიანი და უელატინის ნახევარი დოზის გამოყენება იძლევა.

უნდა აღინიშნოს, რომ უელატინით დამუშავება მაშინ არის მიზანშეწონილი, როდესაც დასამუშავებელი ღვინო ჭარბად შეიცავს ტანიდებს. ცდების პროცესში უელატინს ვიყენებდით დონდღლაბის, გორული მწვანის, ცოლიკოურის, თავკვერის ღვინომასალების დამუშავების დროს.

ასკანგელით დამუშავებისას შეიმჩნევა საღებავ ნივთიერებათა ჭარბად გამოლექვა, განსაკუთრებით ეს შესამჩნევია თავკვერისა და ძელშავის ღვინომასალების დამუშავებისას. ამიტომ, როდესაც ნაკლებდაუანგული ღვინომასალები ვარდისფერია, საჭიროა ასკანგელის დოზების გაზრდა, რის შემდეგ ღვინო ვარდისფერს კარგავს, ხარისხი კი უცვლელი რჩება.

სყმ-ით დამუშავება დიდ სიფრთხილესა და ყურადღებას მოითხოვს. ამიტომ უკანასკნელ დრო ასეთის შემცვლელი პრეპარატების მოსახებნად დიდი მუშაობა წარმოებს. ერთ-ერთ ასეთ ნივთიერებად სამამულო მეღვინეობაში ინოზიტ-ფოსფორმეუვას მარილები, კერძოდ ფიტინი გამოსცადეს.

ფიტინი ღვინიდან ორვალენტიან რკინას არ გამოლექავს. ნაკლებდაუანგული ღვინის წარმოების პროცესში რკინა ძირითადად ორვალენტიან ფორმაშია მოცემული, ამიტომ ფიტინის გამოცდას ღვინომასალების დამუშავების დროს დადებითი შედეგი არ მოუცია.

ნაკლებდაშანებული ცეფრის თვათის ღვინოებისათვის  
უსეზავლილი ვაზის ჯიშების სამარტინ-  
ტეპნოლოგიური დაცასიათვა

საქართველოს მრავალფეროვანი ნიადაგურ-კლიმატური პირობები და ვაზის ჯიშები მრავალი ტიპის ღვინის წარმოების შესაძლებლობას ქმნის. საქართველომ, როგორც მეღვინეობის შეყვანამ, სახელი გაითქვა ძლიერი და ენერგიული, ექსტრაქტული სუფრის თეთრი და წითელი ღვინოებით, ხარისხოვანი შამპანურით, შემაგრებული და საღესერტო ღვინოებისა და კონიაკის წარმოებით.

ბევრგან ენერგიული სუფრის ღვინოსა და შამპანურის ღვინომასალას, საღესერტო ღვინოსა და საკონიაკე ღვინომასალასაც აწარმოებენ. მეღვინეს დიდი გულმოდგინება და ყურადღება მართებს, რათა შეუცდომლად შეარჩიოს ამა თუ იმ მიკროუბნის სხვადასხვა ჯიშის ყურძნისაგან მიღებული ღვინომასალა. ჩვენი აზრით, მეღვინეობის ბევრ რაიონში ზოგიერთი ყურძნის ჯიშისაგან ან სხვა მიკროუბნიდან მიღებული ღვინომასალა ტექნოლოგიური თვალსაზრისით სწორად არ არის გამოყენებული. ხშირად ესა თუ ის ღვინომასალა კუპარის ნაცვლად ჯიშური ღვინის საწარმოებლად უნდა გამოვყენოთ. ნაკლებდაუანგული ღვინის ტექნოლოგიის ცოდნა საშუალებას მისცემს მეღვინეს, სწორად განსაზღვროს ღვინომასალის ღირსება და მდგრადი, ნაზი, მსუბუქი ორდინარული ღვინო დაამზადოს.

1961—1963 წწ. დასავლეთ საქართველოს მეღვინეობის რაიონებში — საჩხერეში, ორჯონივიძეში, ზესტაფონში, მაიკოვსკა და ქედაში შესწავლილი ვაზის ჯრშების: ციცქას, ცო-

ლიკოურის, ძელშავის, ალიგოტეს, ჩინურის, გორული მზვე დონდონის  
დონდოლაბის, თავკვერის, კუნძასა და თეთრი კაპისტონის  
ნაკლებდაუანგული ღვინოების ქიმიური ანალიზის შედეგად  
ჩანს, რომ აღნიშნული ღვინოები სპირტის შემცველობის  
მხრივ მსუბუქ სუფრის ღვინოებს მიეკუთვნება და უმეტეს  
შემთხვევაში მისი სიმაგრეა 10,1—11,6% მოც.

ტიტრული მჟავიანობა 6,2-დან 9,6 %-მდე იცვლება, მქროლავი მჟავიანობა 0,30 — 0,61 %-მდეა, რაც ნაკლებდა-  
კანგული ღვინოების ჭარმოების დროს ნორმალურ ალკოჰო-  
ლურ დუღილზე მიუთითებს.

ლვინომჟავა ოცვლება 2,0-დან 3,5 %-მდე.

ექსტრაქტის განსაზღვრილან ჩანს, რომ ნაკლებდაუანგული ლვინოები საშუალო ექსტრაქტული, მსუბუქი ლვინოებია.

ინვერსიული შაქარი ღვინოში საშუალოდ არის 0,6—1,7 გ/ლ, ზოგ შემთხვევაში — 2,1—5,6 გ/ლ, რაც გამოწვეულია ადრეული პირველი გადაღებით. ეს ხშირ შემთხვევაში ხალი-სიან ღვინოებს სირბილეს და ხავერდოვან გემოს აძლევს. შაქ-რების ასეთი შემცველობა საზღვარგარეთის ნაკლებდაფან-გულ ღვინოებშიც შეიძლება.

მთრიმლავი ნივთიერებანი გვხვდება 0,15—0,36 გ/ლ, ზოგიერთ ჭიში — ცოლიკოური, კუნძა, განსაკუთრებით გორული მწვანე, უფრო მაღალია (0,42—0,58 გ/ლ). კიდევ უფრო ჰალალია (0,76 გ/ლ) დონდოლაბისაგან დამზადებულ ღვინოში.

გლიცერინს შეიტავს 4,9—6,7 გ/ლ, საერთო აზოტს — 0,078—0,171 გ/ლ, ნაცარს — 1,30—2,15 გ/ლ. ნაცრის შედარებითი სიმცირე სისხლის ყვითელი მარილით ღვინის დამუშავების შედეგად რკინის გამოძევებით აიხსნება.

ნაცრის ტუტიანობა უდრის 1,35—3,08 გ/ლ.

სისხლის ყვითელი მარილით დამუშავებამდე ჩკინის რაოდენობა იყო 7,5—31,0 მგ/ლ, დამუშავების შემდეგ — 3,7—7,5 მგ/ლ.

ალდეჰიდები ლიტრში 14—77 მგ-მდე მერყეობს, აცეტალი — 6—47 მგ-მდე. მეტი ალდეჰიდები იმ ნიმუშია, რომელიც ზაქარიაშვილის დროს გოგირდოვანი ანბიდრიდის დიდი დოზით იყო სულფიტირებული.

ნაკლებდაუანგული ღვინოები მრავალჯერ იყო დაჭაუნიკებული საქართველოს საცდელი საღგურის, სამტრესტის მუდმივი სადეგუსტაციო კომისიისა და მეღვინეობის მრეწველობის ცენტრალური სადეგუსტაციო კომისიის მიერ (ცხრილი 2).

### ცხრილი 2

ჯიშების და- სახელება	მოსავლის აღგილი	წელი	გრძელება წელი	წლები მიზანი	განვითარებული მიზანი	ალკოჰოლი მდგრადი და დანართი	მრგანლეპტრიკური დახსასიათება
1	2	3	4	5	6	7	8
ჩინური	საჩხერე	I	1961	7,1	10,5	8,86	ღია ჩალისფერი, ნაზი, ხალისიანი, ხავერდოვანი, მა- ღალხარისხოვანი
ჩინური	საჩხერე	II	„	7,0	10,9	8,75	ღია ჩალისფერი, ნაზი, ხალისიანი ღია ჩალისფერი,
ალიგორე	საჩხერე	II	„	8,6	10,3	8,48	ნაზი, ოდნავ მომეტე- ბული სიმჟავით, ხარისხოვანი
ქელშავი	საჩხერე	I	„	7,6	10,9	8,57	ღია ჩალისფერი, ნაზი, რბილი, მა- ღალხარისხოვანი

1	2	3	4	5	6	7	8
ალიგოტე	ზესტაფონი	I	"	7,1	10,1	8,62	ღია ჩალისფერი, წინა ნიმუშებთან შედარებით ოდნავ ღუნე
გორული მწვანე	საჩხერე	I	"	9,3	10,8	8,62	ღია ჩალისფერი, ნაზი, სასიამოენო, შხატე, მაღალხა- რისხოვანი
ალიგოტე	ქადა	II	"	9,2	10,2	8,58	ღია ჩალისფერი, ნაზი, ხალისიანი, მაღალმუკანიანი
კაპისტონი	ორჯონიკიძე	I	"	8,6	10,2	8,47	ღია ჩალისფერი, მაღალმუკანიანი, მკვეთრი
ციცქა	"	I	"	7,9	10,1	8,60	ღია ჩალისფერი, ნაზი, მაღალხარის- ხოვანი
ქელშავი	საჩხერე	I	1962	9,3	10,2	8,56	შეღარებით ნაკლებ- ჰარმონიული, მომე- რიბული სიმუშავით
ქელშავი	მაიაკოვსკი	I	1962	6,7	10,8	8,78	ჟარმონიული, ნაკ- ლებდაუანგული, მუ- კინობბის კარხა თან- წყობით, გიშური არმომატიკ
თეთრი კაპისტონი	ორჯონიკიძე	I	1961	8,6	10,2	8,61	გამოსჭვივის მწვანე მუაღიანობა, დაძვე- ლების ტონები არ დან
ქელშავი	საჩხერე	I	1961	7,8	10,9	8,9	მწვანები ღვინო, ჟარმონიული

1963 წელს ნაკლებდაუანგული ღვინომასალები ჩვენს  
მიერ შერჩეული ტექნოლოგიური სქემით საჩხერის ღვინის  
ქარხანაში დავამზადეთ: ციცქა 15 ათასი დალ, ალიგოტე 3

ათასი, ქელშავი — 500, ქედის ღვინის ქარხანაში — ცოლიქა-  
ური ათასი დალ.

ქვემოთ მოგვყავს შესწავლილი ჯეშების სამეურნეო-ტექ-  
ნილოგიური დახასიათება.

ციცქა. დასავლეთ საქართველოში ყველაზე გავრცელე-  
ბული აბორიგენული ჯიშია. უმთავრესად გავრცელებულია  
ზესტაფონის, ორჯონიქიძისა და ორჯოლის რაიონებში. ზეს-  
ტაფონისა და მაიკოვსკის რაიონებში იძლევა მაღალხარის-  
ხოვან პროდუქციას იმერული და ევროპული ტიპის ღვინო-  
ებისათვის, ხოლო ორჯონიქიძისა და საჩხერის რაიონებში —  
ხარისხოვან შამპანურ მასალებსა და ღია ჩალისფერ, საკმაოდ  
სქეულიან, ნაზ, ხალისიან, კრგად გამოსახული ხილის არო-  
მატის მქონე ღვინოს.

როგორც აბორიგენულ ჯიშს, ციცქას მკვლევარები დიდ  
ყურადღებას უთმობენ და სხვადასხვა ტიპის ღვინოების და-  
სამზადებლად სწავლობენ. კ. მოდებაძის, გ. ბერიძის, ნ. გე-  
ლაშვილისა და სხვების აზრით, ციცქასაგან დამზადებული ევ-  
როპული ტიპის სუფრის ღვინო სინაზითა და ჯიშური არომა-  
ტით გამოიჩინა. ციცქა კარგ შედეგებს იძლევა იმერული  
ღვინოების კუპაჟში. ღვინო ხდება უფრო ნაზი, ხავერდოვა-  
ნი, ხალისიანი. ციცქასაგან დამზადებული შამპანური ღვინო-  
მასალების მაღალი ხარისხი საყოველთაოდაა აღიარებული.

ჩაქლებდაუანგული სუფრის ღვინის მიღების მიზნით ციც-  
ქა შევისწავლეთ საჩხერისა და ორჯონიქიძის რაიონებში. ამ  
ტიპის სუფრის ღვინისათვის ციცქა კონდიციურ სიმწიფეს  
ოქტომბრის პირველ და მეორე დეკადაში აღწევს. როგორც  
ცნობილია, ციცქა შედარებით მაღალმუავიანი ჯიშია. მკვანე  
მუავიანობის თავიდან აცილების მიზნით ვცდილობდით მაღა-

ლი შაქრიანობის დროს მოგვეერიფა, ამიტომ ციცქასაგან მზადებული ნაკლებდაუანგული ღვინო ზოგ შემთხვევაში არც-თუ ისე მსუბუქია.

ამ მხრივ გამოირჩევა 1962 წ. საჩხერეში დამზადებული ღვინო, რომლის სიმაგრეა 12,3% მოც., ტიტრული მუავიანობა კი — 8,2 %.

სადეგუსტაციო კომისიამ ეს ნიმუშები დაახასიათა, როგორც კარგი ხარისხის ნაკლებდაუანგული ღვინო, რომელიც ნაზი ჯიშური არომატითა და სასიამოვნო ხალისიანი მუავიანობით გამოირჩევა. ორჯონიქიძის რაიონის ამავე წლის მოსავლის ციცქა შედარებით მსუბუქი და ნაზია. ეს ნიმუშები საშუალო ექსტრაქტულობის, მთრიმლავი და საღებავი ნივთიერებების მცირე შემცველობისაა.

1963 წ. დამზადებული ციცქას ნაკლებდაუანგული ღვინო შედარებით მსუბუქია, ჭარბი მუავიანობისაა, რაც არახელსაყრელი ბუნებრივი პირობებითაა გამოწვეული.

ღვინო ხასიათდება ორიგინალური, ჯიშური არომატით, ჰარმონიული მუავიანობით, მსუბუქი, ნუშის ტონით, ლია მომწვანო იერით, კრისტალურია.

ციცქას ნაკლებდაუანგული ღვინო ამღვრევის მიმართ დიდი სტაბილობით გამოირჩევა. იგი კრისტალურ სიწმინდეს წლების მანძილზე ინარჩუნებს.

დღეისათვის საქართვის საცდელი სადგურის სარდაფში ინახება ციცქას ნაკლებდაუანგული ღვინოების ნიმუშები, რომელიც მაღალი ორგანოლეპტიკური მაჩვენებლებით ხასიათდება.

ა ღ ი გ ღ ტ ე XIX საუკუნის დასაწყისში საფრანგეთი-

დან შემოტანილი და ახლა უკვე ფართოდ გავრცელებული ჯიშია.

ეს ჯიში საქართველოს თითქმის ყველა მიკრორაიონში ნაზ, მაღალხარისხოვან ღვინოებს იძლევა. მისი პროდუქცია ძირითადად განკუთვნილია შამპანური ღვინის დასამზადებლად.

გ. ბერიძის აზრით, ამჟამად ალიგოტეს საქართველოში ნაკლებად იყენებენ, ამიტომ აუცილებელია მისი შესწავლა სხვადასხვა ტიპის ღვინოების წარმოების თვალსაზრისით.

საჩხერისა და ზესტაფონის რაიონებში ალიგოტე კონდიციურ სიმწიფეს სექტემბრის ბოლოს და ოქტომბრის პირველ დეკადაში აღწევს, ქედის მიკრორაიონში — ოქტომბრის ბოლოს.

ალიგოტეს მტევნის მექანიკური ანალიზიდან (ცხრილი 3) ჩანს, რომ მისი ღვინოდ გადამუშავება სავსებით შესაძლებელია.

### ცხრილი 3

ნიმუშის აღების აღგილი	მტევნის სილიც	მტევნის საშ. წილა	მტევნის საშ. წილა	მტევნის შედგენილობა %-ით						100 მტევნის წილა	100 მტევნის წილა
				გარეული	კლუტი	კანი	წილა	წვენი	ჩბილი		
საჩხერე, მერგევი	მაქს.	152	102	97,2	2,8	7,0	4,5	85,6	112,6	2,8	
	საშ	101	72	97,3	2,7	5,6	3,9	87,6	136,5	3,1	
	მ-ნ.	63	49	90,1	1,9	5,4	3,9	88,6	126,1	2,9	
ქედა, დიოკენისი	მაქს.	200	126	98,0	2,0	3,7	2,7	91,9	155,5	2,5	
	საშ	97	63	97,9	1,1	3,6	3,0	91,4	150,8	3,1	
	მინ.	39	30	96,9	3,1	5,1	3,0	88,8	126,0	5,0	



ალიგოტესგან დამზადებული ნაკლებდაუანგული თეოზონური ღვინო ციცქას ღვინოსთან შედარებით მსუბუქი და სასიამოვნო მუავიანობისაა.

1961—1963 წლებში საჩხერის, ზესტაფონისა და ქედის რაიონებში დამზადებული ალიგოტეს ნაკლებდაუანგული ღვინოების ქიმიური შედგენილობა ასეთია: ალკოჰოლი — 10,1—10,7% მოც., ტიტრული მუავიანობა — 6,6—8,8%, ტანიდები — 0,26—0,33%, საერთო აზოტი 0,084—0,161%.

ალიგოტე ნაკლებდაუანგული, მსუბუქი სუფრის ღვინოებისათვის საუკეთესო მასალას იძლევა ქედისა და საჩხერის მიკრორაიონებში.

ცენტრალური სადეგუსტაციო კომისიის მიერ ქედის ალიგოტე 8,75 ბალით შეფასდა.

აჭარის ალიგოტე ძირითადად ორდინარული სუფრის ღვინოების კუპაუში გამოიყენება. ეს ღვინოები მდარე ხარისხისაა და მათში ალიგოტეს ძვირფასი თვისებები იყარგება. ჩვენი აზრით, აუცილებელია, ქედის რაიონში ალიგოტესგან ნაკლებდაუანგული სუფრის ღვინოს დამზადება.

უნდა აღინიშნოს, რომ ქედის რაიონში 1962 წელს დამზადებული ნაკლებდაუანგული სუფრის ღვინო, რომელიც 1963 წლის აპრილში ჩამოისხა, დაჭაუნიკებული იყო სადეგუსტაციო კომისიის დახურულ სხდომაზე 1964 წლის ბოლოს. ნომუშმა 9,0 ბალი შეფასება მიიღო. ხასიათდება შესანიშნავი ნაზი ბუკეტით, ხავერდოვანი, რბილი გემოთი, კრისტალური სიჭმინდით. ეს შეფასება საშუალებას გვაძლევს, რომ რეკომენდაცია მივცეთ ალიგოტეს, როგორც სამარჯო, ნაკლებდაუანგული ტიპის ღვინოს მომცემ ჭიშს ქედის რაიონში.

ჩინური უმთავრესად გავრცელებულია აღმოსავლეთ

მარკენაული  
რაიონული მუნიციპალიტეტი

საქართველოში. დასავლეთ საქართველოში ვანის რაიონული გვხვდება. უკანასკნელ დროს გაშენდა საჩერის რაიონის მერჩევის საბჭოთა მეურნეობაში.

ქართული აბორიგენული ჯიშია. ძველთაგანვე ცნობილი მისი ხარისხოვანი სუფრის ღვინოები. იყენებენ შამპანური ღვინომასალებისა და ბუნებრივად ცქრიალა ღვინოებისათვისაც. გ. ბერიძის გამოკვლევებით, ჩინური მაღალხარისხოვან ღვინოებს იძლევა შამპანური ღვინომასალებისა და ევროპული ტიპის ღვინოებისათვის. ჩინური ხასიათდება მაღალი გამოსავლიანობით, კანისა და კლერტის ნორმალური შემცველობით (ცხრილი 4).

ცხრილი 4

ნიმუშის აღების ადგილი	მტენის შედგენილობა %-ით										შემცველის შეზღუდვა %-ით
	ეტიკეტის სილაპ	გრძელების წლები	მარტივულების რაოდენობა	მარტივულების უფრონა	კლერტი	კანი	ტაბა	ტაბანის რეცენზი	100 მარტივულის წლები	100 წილის გ-ით	
საჩერე, მერჩევი	მაქს.	242	98	97,3	2,7	5,0	2,7	90,1	243,8	4,6	
	საშ.	173	69	58,1	1,9	4,9	2,7	90,4	246,9	4,6	19,3
	მინ.	92	38	97,6	2,4	4,1	3,5	89,9	235,5	5,0	8,5

ჩინური საუკეთესო ნაკლებდაუანგულ ღვინოს იძლევა საჩერის რაიონში.

გორული მწვანე ზემო იმერეთში ცნობილია ქვიშხერის სახელწოდებით. შევამოწმეთ გორული მწვანეს მტენის მექანიკური შედგენილობა საჩერის რაიონისათვის (ცხრილი 5).

მექანიკური ანალიზიდან ჩანს, რომ ქვიშხურის მტევნები საშუალო წონა 342 გრამამდე აღწევს. ქვიშხურის საშუალო მტევნები 120-მდე მარცვალია, დიდ მტევნები კი — 218-მდე. წვენის გამოსავლიანობით ის საკვებით აკმაყოფილებს საღვინე ჭიშისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.

ცხრილი 5

ნიმუშის აღების აღგილი	სიტუაცია	მრგვალი საშ. წლი	მტევნის საშ. წლი	მარცვალის დანერგვა	მტევნის შედევნილობა %-ით					მარცვალის დანერგვა	100 გარემონტი ნა-მო	100 გარემონტი ნა-გ-მო
					გარცვალი	კლასი	კანი	წილი	დანერგვა			
საჩხერე, მერვევი	მაქს.	527,1	218	97,7	2,2	5,1	2,7	89,9	236,3	4,8		
	საშ.	277,6	12	97,9	2,0	4,4	3,1	90,1	227,3	5,9		
	მინ.	123,0	58	98,4	1,6	4,4	3,6	90,4	208,6	4,9		

გ. ბერიძის გამოკვლევებით დადგენილია, რომ გორული მწვანისაგან სხვადასხვა ეკოლოგიურ პირობებში შეიძლება ღამზადდეს სხვადასხვა ტიპის ღვინოები. დაწყებული ნაზი ჟამპანურიდან, დამთავრებული საქართველოში განთქმული ენერგიული ქართლის ღვინოებით.

გორული მწვანესაგან დამზადებული ნაკლებდაუანგული სუფრის ღვინოები თავისი კონდიციით მსუბუქ სუფრის ღვინოებს მიეკუთვნება, ხასიათდება სიხალისით, საშუალო სხეულით. სხვა ნაკლებდაუანგულ ღვინოებთან შედარებით მეტ ტანიდებს შეიცავს (თითქმის 1,5-ჯერ მეტს), ვინაიდან მისი კანი უხეშია, მომწყლარტო და დამუშავების დროს ხელ-საყრელ პირობებს ქმნის ტკბილის მთრიმლავი ნივთიერებე-

ბით გასამღიდრებლად. გორული მწვანისაგან საშუალებები რისხის ნაკლებდაუანგული, მსუბუქი, ხალისიანი სუფრის ღვინო მიიღება.

თავკვერი ქართლის წითელყურძნიანი ვაზის აბორიგენული ჯიშია. სამეცნიერო დანიშნულებით განკუთვნილია ღია წითელი ფერის ორგინარული ღვინოების დასამზადებლად და სუფრის ყურძენსაც იძლევა.

საქმაოდ ფართოდაა გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოში. დასავლეთში გვხვდება ვანის, მაიაკოვსკის, ზესტაფონის, ჩხარის, ჭიათურის, საჩხერისა და ამბროლაურის რაიონებში. საჩხერის რაიონის მერჩევის საბჭოთა მეურნეობაში თავკვერი გადავამუშავეთ ნაკლებდაუანგული სუფრის ღვინისათვის და მივიღეთ შესანიშნავი არომატის, მოვარდისფრო, ნაზი, ხალისიანი სუფრის ღვინო; ასეთი არომატი ძნელად თუ გააჩნია სხვა რომელიმე ჯიშისაგან დამზადებულ ღვინოს. ამიტომ კუპაჟში შევიყვანეთ ფართოდ გავრცელებულ ციცქასთან. ციცქასა და თავკვერის კუპაჟი (5:1) გამოიჩინა სისალისით, სინაზით, თავკვერის არომატით. ჩვენი აზრით, ამ კუპაჟით წარმატებით შეიძლება დამზადდეს ნაკლებდაუანგული ღვინო საჩხერის რაიონში.

ძელშავი ცნობილია აგრეთვე ობჩური ძელშავის სახელწოდებით. ყველაზე მეტად გავრცელებულია მაიაკოვსკისა და საჩხერის რაიონებში, შემდეგ ჭიათურის, ვანისა და ზესტაფონის რაიონებში.

ობჩური ძელშავისა და საჩხერის ძელშავის ყურძნის მეჭანიკური ანალიზის შედეგებიდან ჩანს, რომ ეს ორი ჯიში აღნაგობით საქმაოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან. მიუხე-

დავად ამისა, ორივე აკმაყოფილებს საღვინე ჯიშისაღმონაბრტყელ უკანებულ მოთხოვნებს (ცხრილი 6).

### ცხრილი 6

ჯიში და ნი- მუშის აღებას აღგილი	მუშის სი- მუშის მო- მუშის მო- მუშის მო-	მუშის მო- მუშის მო- მუშის მო-	მთევნის შეზღენილობა %-ით								მუშის მო- მუშის მო- მუშის მო-	
			მუშის მო- მუშის მო- მუშის მო-									
ობჩურა ძელ- შავი	მაქს.	367,2	186	979,1	2,9	12,9	2,7	81,5	197,5	4,2		
მაიაკოვსკი, ლიმი	საშ.	157,1	95	97,6	2,4	10,6	1,9	85,1	165,9	3,9	20,6	8,0
	მინ.	83,5	50	97,8	2,2	8,2	1,9	86,7	167,0	3,5		
აღგილ ობრივი ძელშავი	მაქს.	197,7	73	97,8	2,2	11,8	3,6	82,3	264,9	4,9		
	საშ.	140,0	54	97,9	2,1	9,6	3,5	84,8	253,8	4,51	8,0	9,3
საჩერე	მინ.	90,3	37	98,1	1,9	7,2	3,3	87,5	239,4	4,8		

საჩერის, ჭიათურისა და ორჯონიქიძის რაიონებში აღგილობრივ ძელშავთან ერთად მასობრივად გვხვდება უხვმსხმოიარე ყურძნის ჯიში — რკოშავი. ამიტომ საჩერის რაიონში გადასამუშავებელი ძელშავი მეტნაკლებად ყოველთვის შეიცავს ჯიშ რკოს.

საჩერის რაიონში 1961—63 წლებში ძელშავისაგან ჩვენს მიერ დამზადებული ნაკლებდაუანგული ღვინოები ფაქტიურად ძელშავისა და რკოს კუპაჟს წარმოადგენს, რაც კიდევ უფრო მიზანშეწონილს ხდის, რომ საჩერის რაიონში ძელშავისაგან ნაკლებდაუანგული სუფრის ღვინოები ვაწარმოოთ.



სამტრესტის საჩერის ღვინის ქარხანაში 1961 წ. დებული ძელშავი ორგანოლეპტიკურად 1961—1963 წლებში შეფასდა. ბოთლში დაძველებულმა ღვინომ, რომელიც ხასიათდება მწყობრი ჰარმონიული გემოთი და კრისტალური სიშინღით, მაღალი შეფასება და იმსახურა. ეს ფაქტი ნაკლებად უანგული ტექნოლოგიური წესით დამზადებული ღვინოების მაღალსტანილურობასა და გამძლეობაზე მიუთითებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია 1962 წ.- მაიკოვსკის რაიონში დიმის ღვინის ქარხანაში დამზადებული ობჩური ძელშავის ნაკლებდაუანგული ღვინო. ეს ნიმუში შეიცავს 10,8% მოც. ალკოჰოლს, — 6,7 % ი ტიტრულ მუავიანობას, — 0,18% მთრიმლავ და საღებავ ნივთიერებებს, — 5,7% შაქარს. დაუდუღარი შაქრის ეს რაოდენობა ღვინოს განსაკუთრებულ სირბილესა და ხავერდოვნებას ანიჭებს. სამტრესტის მუდმივოქმედ სადეგუსტაციო კომისიამ ამ ნიმუშს მაღალი შეფასება მისცა (ცხრილი 2).

ობჩური ძელშავის ღვინო გამოიჩინა განსაკუთრებული ლია ფერითა და მწვანე იერით. კარგად ეგუება თეთრად გადამუშავებას. ღვინოში ვარდისფერი ტონები არ ჩანს.

ცოლიკოური ძირითადად დასავლეთ საქართველოს სტანდარტული ჯიშია. გავრცელების მხრივ რესპუბლიკაში ჩეაწითელის შემდეგ მეორე ადგილი უკავია. მისგან მზადდება მაღალხარისხოვანი იმერული, ევროპული და ბუნებრივად ნახევრადტკბილი მაღალხარისხოვანი ღვინო, რაც მის ჯიშურ ღირსებაზე მიუთითებს. -

საერთოდ დასავლეთ საქართველოში ცოლიკოური ძირითადად ძლიერი, ექსტრაქტული იმერული ღვინოებისთვისაა



გამოყენებული, ხოლო ზემო იმერეთში — მსუბუქი სუფალი და ლვინებისათვის.

ცოლიკოურს მომეტებული შაქრიანობის დროს მაღალი მუვიანობა ახასიათებს, რაც დასავლეთ საქართველოს ბევრ რაიონში ძლიერ ენერგიული და ხალისიანი ლვინების. მიღებას განაპირობებს.

ორჯონიქიძის რაიონში ცოლიკოურისაგან დამზადებული ნაკლებდაუანგული ლვინო მაღალმუვიანი და ენერგიულია. ასეთი მაღალი მუვიანობის გამო ორჯონიქიძის რაიონში ცოლიკოურისაგან ნაკლებდაუანგული ლვინების დამზადება ნაკლებპერსპექტიულია. ეს ლვინოები საშუალო ხარისხისაა. სადევგუსტაციო კომისიამ მათში აღნიშნა მცვახე მყავიანობა.

ცოლიკოური კარგ შედეგს იძლევა ქედის რაიონში. აქ დამზადებული ნაკლებდაუანგული ლვინო შეიცავს 10,6% მოც. ალკოჰოლს, 7,0 — 8,6 % ი ტიტრულ მუვიანობას. ლვინო ხასიათდება სიმსუბუქით, ხალისიანობითა და კრისტალური სიწმინდით.

ქედის რაიონში ცოლიკოურისაგან № 6 ქართულ ლვინოს ამზადებენ. ეს ლვინო არამდგრადია, ჩამოსხმისთანავე იჭრება.

ქედის რაიონში ცოლიკოურისაგან ნაკლებდაუანგული ლვინოების წარმოება კარგ შედეგს იძლევა. 1963 წ. სამტრესტის დავალებით ქედის ლვინის ქარხანაში საწარმოო მასშტაბით დავამზადეთ ნაკლებდაუანგული ლვინომასალები, რომელიც მაღალი ორგანოლეპტიკური თვისებებითა და მდგრადობით გამოირჩეოდა.

თეთრი კაპისტონი ადგილობრივი სალვინე ჯიშია. ძირითადად გავრცელებულია ორჯონიქიძის, ნაწილობრივ ზესტაფონისა და თერჯოლის რაიონებში. მისგან მაღალხა-

რისხოვანი შამპანური მასალები და სუფრის ღვინოები მისამართება.  
დება.

ნაკლები შაქრიანობის დროს ეს ჯიში თითქმის ყველა  
ჯიშზე მეტად ინარჩუნებს მაღალ მუავიანობას. მაგალითად,  
1962 წ. თეთრი კაპისტონი მოვკრიფეთ 23,9% შაქრიანობისა  
და 8,4 % მუავიანობის დროს, ხოლო 1961 წ. 18,1 % შაქრია-  
ნობის შემთხვევაში 15,1 % მუავიანობა ჰქონდა. ამიტომ თე-  
თრი კაპისტონისაგან მიღებული ნაკლებდაუანგული ღვინო-  
ები მწვანე მუავიანობით ხასიათდება. 1961 წ. ღვინის ნიმუ-  
ში, მიუხედავად ტკბილის მაღალი (15,1 %) მუავიანობისა,  
8,6 % ტიტრულ მუავიანობას შეიცავდა, რაც ვაშლ-რძემუავას  
დუღილით იყო გამოწვეული. მიუხედავად ამისა, ცენტრალუ-  
რი სადეგუსტაციო კომისიისა და სამტრესტის სადეგუსტა-  
ციო კომისიის მიერ მასში მწვანე მუავიანობა მაინც აღინი-  
შხა.

ორგონიკიძის რაიონში თეთრი კაპისტონი ციცქასთან კუ-  
პაჟით (1:3) მაღალხარისხოვან ნაკლებდაუანგულ სუფრის  
ღვინოს იძლევა. ამ ნიმუშში, ისე როგორც 1961 წლის თეთ-  
რი კაპისტონის ნიმუშში, ჩატარდა ვაშლ-რძემუავა დუღილი,  
რის გამოც ტიტრული მუავიანობა 6,9 % მდე შემცირდა.

თეთრი კაპისტონისა და ციცქას კუპაჟი ღია მწვანე, ხალი-  
სიან, ჰარმონიულ, ხავერდოვან ღვინოს იძლევა.

დონ დ დ ლ ა ბ ი გავრცელებულია შუა და ზემო იმერეთ-  
ში ვარიაციებად. ყველაზე მეტად საინტერესოა მჭინარა დონ-  
დღლაბი.

მჭინარა დონდღლაბი უხვმოსავლიანი ვაზის ჯიშია, თ. კვა-  
რაცხელიას და ა. მიროტაძის მონაცემებით, ჯიშის მოსავლია-  
ნობა ზოგჯერ ჰექტარზე 150—200 ცენტნერს აღწევს. დონ-

დოლაბი ხასიათდება შვენის მაღალი გამოსაცლიანობით. საკმაოდ მაღალ შაქრიანობას აღწევს, რის გამოც ხშირად მუავიანობა სწრაფად ეცემა და ღვინის ხარისხი უარესდება, ამიტომ საჭიროა მისი დროული დაკრეფა.

მისგან დამზადებული ნაკლებდაუანგული ღვინო საშუალო ღირსებისაა. ალკოჰოლური დუღილის დამთავრებისთანავე ღია ყვითელი ფერისაა, რაც, ჩვენი აზრით, დასაუანგავი სუბსტრატის სიღიღითაა გამოწვეული.

როგორც მე-3—მე-5 ცხრილიდან ჩანს, დონდოლაბი სხვა ჯიშებთან შედარებით 2—3-ჯერ მეტ მორიმლავ ნივთიერებას შეიცავს, მისგან დამზადებული ნაკლებდაუანგული ღვინო ღია ჩალისფერია, ნაკლებგამოხატული ორომატით, გემოზე ემჩნევა ტანიდების სიჭარბე. საშუალო ღირსების სუფრის ღვინოა.

კუნძა ძირითადად გავრცელებულია ქვემო იმერეთში, სუფრის ორდინარული ღვინის ჯიშია.

კუნძასაგან დამზადებული ნაკლებდაუანგული ღვინო საკმაო არომატით, ღია მომწვანო იერით, ხალისიანი და რბილი გემოთი ხასიათდება და დონდოლაბის ღვინოზე უმჯობესია.

## თავისუფალი და საერთო $\text{SO}_2$ -ის ცვალებადობა ნაკლებდაუანგული ღვინის წარმოების დროს

ნაკლებდაუანგული ღვინის მიღებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გოგირდოვანი ანტიდრიდის ანტიოქსიდატური თვისებების გამოყენებას.

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ  $\text{SO}_2$ -ს მა-

შინ გააჩნია ანტიოქსიდატური თვისებები, როდესაც მათ სულფატი თავისუფალი სახით ლიტრ ლვინოში 10—15 მგ-ზე მეტია.

ცნობილია აგრეთვე, რომ შებოჭილსა და თავისუფალ  $\text{SO}_2$ -ს შორის თანაფარდობა არამყარი სიდიდეა და მისი ერთ დონეზე შენარჩუნება არ ხერხდება. მაშასაღამე,  $\text{SO}_2$ -ის ანტიოქსიდატურობისათვის საჭიროა, წინასწარ ვიცოდეთ თითოეული ოპერაციის დროს  $\text{SO}_2$ -ის შესატანი რაოდენობა, რომ მომავალ ოპერაციამდე მისი რაოდენობა კრიტიკულზე (10 მგ/ლ) ქვემოთ არ დავიდეს.

ცდებიდან ჩანს, რომ დაწმომის დროს, მიუხედავად საერთო  $\text{SO}_2$ -ის სხვადასხვა რაოდენობით გამოყენებისა, დადუღების შემდეგ ლვინოში მისი თავისუფალი რაოდენობა ძალზე მცირეა, შებოჭილ მდგომარეობაში კი რჩება 150 მგ/ლ სულფიტაციის დროს 90 მგ/ლ, ხოლო 80 მგ/ლ სულფიტაციის დროს — 40 მგ/ლ.

პირველი გადაღებიდან მომდევნო ოპერაციამდე  $\text{SO}_2$ -ის თავისუფალი რაოდენობა რომ კრიტიკულზე ქვემოთ არ დავიდეს, საჭიროა, გადაღების დროს სულფიტაცია ისე ვაწარმოოთ, რომ თუ ლვინის pH 3-ია, ან 3-ზე ნაკლები,  $\text{SO}_2$ -ის საერთო რაოდენობა ავიყვანოთ 80—100 მგ/ლ-მდე, ხოლო თუ ლვინის pH 3-ზე მეტია, 100—150 მგ/ლ-მდე.

პირველი გადაღების დროს სწორი სულფიტაცია განაპირობებს ლვინის ხარისხს. თუ პირველი გადაღების დროს სულფიტაცია ისეთი იყო, რომ  $\text{SO}_2$ -ის თავისუფალი რაოდენობა მაღლ დავიდა კრიტიკულზე ქვემოთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ანტენსიურად მიმდინარეობს უანგვითი პროცესები, რასაც



გადაღების დროს ლვინოში შეღწეული ჰაერის უანგბადი მომდევნობა ვევს.

ნაკლებდაუანგული ლვინის ტექნოლოგიის დროს ლვინოში არსებობს უანგვითი სისტემა:



რომელიც თავისუფალი  $\text{SO}_2$ -ის საქმარისი დოზების დროს უფრო ინტენსიურია, ვიდრე ლვინოში არსებული სხვა უანგვა-ალდენითი სისტემები. ჰაერის უანგბადი პირველ ჩიგში გო-გირდოვანმჟავას დაუანგვაზე იხარჯება, ნაშილობრივ კი ლვი-ნის შემადგენელ ნივთიერებათა დაუანგვაზე. ამიტომ სრული-ად დაუუანგავი ლვინის მიღება არ ხერხდება. დაუანგვა მით უფრო ნაკლებია, რაც უფრო სწორად წარიმართა სულფიტა-ცია და რაც უფრო ნაკლებია ჰაერის უანგბადის შეღწევა ლვი-ნოში.

ყოველი ტექნოლოგიური ოპერაციის ჩატარებისას თანა-ფარდობა  $\text{SO}_2$ -ის თავისუფალ და საერთო რაოდენობას შო-რის დამოკიდებულია ლვინოში არსებული  $\text{SO}_2$ -ის რაოდენო-ბაზე, მაგრამ ეს, თანაფარდობა მყარი არ არის როგორც კა-სრში (ჩამოსხმამდე), ასევე ბოთლში (ჩამოსხმის შემდეგ) შე-ნახვის დროსაც კი. ამიტომ თავისუფალი  $\text{SO}_2$ -ის ერთ დონე-ზე შენარჩუნება შეუძლებელია.

შეიმჩნევა, რომ კასრის ლვინოების ტექნოლოგიური დამუ-შავების შემდეგ  $\text{SO}_2$ -ის შემცირება უფრო მოკლე პერიოდში ხდება, ვიდრე ლვინის გადაუღებლად შენახვის დროს. ეს გა-მოწვეულია ლვინოში უანგბადის შეღწევის უთანაბრობით. გაწებვის დროს არევის გამო ლვინოში უანგბადი შედარებით



მეტი რაოდენობით იხსნება, ამიტომ  $\text{SO}_2$ -იც სწრაფად გაემდება ბულობს, ხოლო როდესაც ღვინოში უანგბადი გაქრება, ისიც ნაკლებად შემცირდება.

არაპერმეტულად შენახვის დროს  $\text{SO}_2$ -ის საერთო რაოდენობიდან შებოჭილი ფორმა თანდათან იზრდება, თავისუფალი კი კლებულობს. პერმეტულად შენახვისას კი  $\text{SO}_2$ -ის შებოჭილი ფორმა კლებულობს, თავისუფალი რაოდენობაც მცირდება, მაგრამ არა იმდენად, რამდენადაც არაპერმეტულად შენახვის დროს.

ჩამოსხმის დროს ღვინოში  $\text{SO}_2$ -ის მომეტებული დოზებით შეტანა საჭირო არ არის, რადგანაც ჩამოსხმიდან კარგახნის მანძილზე იგი ღვინოში საკმაოდ მაღალი დოზებით რჩება.

ჩატარებული ცდების საფუძველზე უნდა დავასკვნათ: შეიძლება ჩამოსხმის შემდეგ გოგირდოვანი ანჰიდრიდის თავისუფალი რაოდენობა იყოს 20—30 მგ/ლ, როდესაც საერთო რაოდენობაა 150 მგ/ლ, ხოლო, თუ საერთო რაოდენობაა 100—120 მგ/ლ, მაშინ შეიძლება თავისუფალმა რაოდენობაში მიაღწიოს 35 მგ/ლ. ჩამოსხმის დროს პირველ რიგში ყურადღება  $\text{SO}_2$ -ის თავისუფალ ფორმას უნდა მიექცეს. თუ ჩამოსხმის დროს  $\text{SO}_2$ -ის თავისუფალი რაოდენობაა 30 მგ/ლ, გოგირდოვანი ანჰიდრიდის ახალი დოზების შეტანა საჭირო არ არის, მიუხედავად მისი საერთო რაოდენობისა.

ღვინოებში, რომელთა  $\text{pH}$  უდრის 2,9—3,1-ს, ჩამოსხმის შემდეგ საერთო  $\text{SO}_2$  უნდა იყოს 150 მგ/ლ.

## ნაკლებდაზანგული ღვინოების დაზანგვის ხარისხი ზანგვა-აღდგენითი პოტენციალისა და ზანგბაზის რიცხვის მიხედვით

ნაკლებდაზანგული ღვინოების ტექნოლოგიაში ღვინის ამ-  
ღვრევის სტაბილობის საკითხი ჰაერის უანგბადის ჩაურევლად  
შედება, მაგრამ ამ დროს უანგბადის სრულიად შეუღწევადო-  
ბის საშუალება არა გვაქვს.

ღვინის დაუანგვის ხარისხზე შეიძლება ფერის მიხედვით  
ვიმსჯელოთ. ქიმიური გზით კი დაუანგულობის განსაზღვრა  
ღვინოში უანგვა-აღდგენითი პოტენციალის ( $Eh$ ,  $rH_2$ ) და უან-  
გბადის რიცხვის განსაზღვრით შეგვიძლია.

უანგვა-აღდგენითი პოტენციალი, ღვინოში გახსნილი უანგ-  
ბადი და ღვინოში შეტანილი გოგირდოვანი ანჰიდრიდი ერთ-  
მანეთან კავშირშია.

იმის გასარკვევად, თუ ყურძნის გადამუშავების დროს  
ტკბილის სხვადასხვა დოზით სულფიტაცია რა გავლენას ახ-  
დენს უანგვა-აღდგენით პოტენციალზე, ეგუტფორსა და პნევ-  
მატურ წნევ „ვილმესში“ დამუშავებული ყურძნიდან მიღე-  
ბული ტკბილი მოვათავსეთ ოთხ ჭურჭელში და სულფიტა-  
ცია სხვადასხვა დოზით ვაწარმოეთ, 1—2 საათის და 20 სა-  
ათის შემდეგ განვსაზღვრეთ საერთო უანგბადი და გოგირდო-  
ვანი ანჰიდრიდის ფორმები (შედეგი მოცემულია მე-7 ცხრი-  
ლში).

როგორც ცხრილიდან ჩანს, ეგუტფორში და „ვილმესში“  
გატარებული ყურძნის ტკბილში 1—2 საათის შემდეგ გახსნი-  
ლი უანგბადის რაოდენობა თითქმის თანაბარია. უანგვა-აღდ-  
გენითი პოტენციალის ( $Eh$ ) შემცირებას გოგირდოვანი ანჰი-

№ № რიგი	ჭრების სახე	დაჭყლეტიღან 1—2 საათის შემდეგ				დაჭყლეტიღან 18—20 საა- თის შემდეგ			
		SO <sub>2</sub> მგ/ლ		Eh მლვ	SO <sub>2</sub> მგ/ლ				
		თავისუ- ფალი	საერთო			თავისუ- ფალი	საერთო	თავისუ- ფალი	Eh მლვ
1	კუთხორი	0	0	2,3	422	0	0	1,9	384
2		45	75	2,4	401	10	69	2,0	385
3		105	138	2,4	381	41	127	2,0	374
4		226	272	2,2	357	105	253	1,7	366
1	კუთხორი	0	0	2,0	424	0	0	1,7	412
2		41	61	2,1	405	28	65	1,1	387
3		90	126	2,1	389	59	128	0,8	371

დრიღი იწვევს. Eh-ის შემცირება მით უფრო დიდია, რაც უფრო მეტად იყო სულფიტირებული ტკბილი. მაგალითად, 75 მგ/ლ SO<sub>2</sub>-ის შეტანამ 21 მლვ-ით დასწია იგი, 138 მგ/ლ შეტანამ — 41 მლვ-ით, 272 მგ/ლ SO<sub>2</sub>-ის შეტანამ 65 მლვ-ით. ამრიგად, გოგირდოვანმჟავას დოზის გაზრდა შესაბამისი პრო- ცორციულობით არ ამცირებს Eh-ს. თუ ტკბილში არ არის გოგირდოვანმჟავა, მაშინ Eh-ის 1 მლვ-ით შესამცირებლად საჭიროა 3,5 მგ/ლ SO<sub>2</sub>. საშუალო სულფიტაციის დროს პო- ტენციალის 1 მლვ-ით შემცირებაზე 3,3 მგ/ლ SO<sub>2</sub> მოდის, ხოლო დიდი დოზებით სულფიტაციის / დროს — 4,2 მგ/ლ. ცხრილიდან ჩანს, აგრეთვე, რომ 18—20 საათის შემდეგ დი- დი დოზებით სულფიტაციის დროსაც ტკბილში მცირდება

$\text{SO}_2$ -ის თავისუფალი რაოდენობა და გახსნილი უანგრძალი, მაგრამ საშუალო სულფიტაციაც უზრუნველყოფს თავისუფალი  $\text{SO}_2$ -ის საქმაო დოზის შენარჩუნებას დაწდომაზე მყოფ ტკბილში; ამიტომ დაწდომის დროს დაუანგვის აცილების შინით ჭარბი სულფიტაცია საჭირო არ არის. საქმაოდ კარგ შედეგებს იძლევა 60—120 მგ/ლ  $\text{SO}_2$ -ის გამოყენება.

ჩვენ შევისწავლეთ ნაკლებდაუანგულ ღვინოებში, საერთო უანგბადისა და გოგირდოვან ანტიდრიდთან ერთად, უანგვა-ალდგენითი პოტენციალის ცვალებადობა ჩამოსხმის წინ და სხვადასხვა ტექნოლოგიური ოპერაციის დროს. აღმოჩნდა. რომ უკანასკნელი დამუშავებიდან ჩამოსხმამდე, ე. ი. 2—3 თვეში კასრის ღვინოებში საერთო უანგბადი ლიტრში 0,6-დან 1,8 მგ-მდე მერყეობს, მცირეა, როდესაც  $\text{SO}_2$  ჭარბადაა, ხოლო შედარებით მეტია თავისუფალი  $\text{SO}_2$ -ის ნაკლებობის დროს.

ღვინის უანგვა-ალდგენითი პოტენციალი ( $\text{zH}_2$ ) კასრის ღვინოებში ჩამოსხმის წინ 18,5-დან 19,8-მდეა, ჩამოსხმის შემდეგ ღვინოში გახსნილი უანგბადის მომატების გამო 19—20,7-მდე იზრდება. ჩამოსხმის შემდეგ ღვინოში გახსნილი უანგბადის რაოდენობა დამოკიდებულია ჩამოსხმის პირობებზე და ჩვენი ცდების დროს ლიტრში 1,2-დან 3,5 მგ-მდე მერყეობდა.

უანგვა-ალდგენითი პოტენციალი მეტ მგრძნობიარობას იჩენს ღვინოში გახსნილი უანგბადის მიმართ, ვიდრე თავისუფალი  $\text{SO}_2$ -ის მიმართ, რაც იქიდან ჩანს, რომ ღვინის გადალების შემდეგ ლიტრში უანგბადის 1 მგ-ით მომატების დროს პოტენციალი 1,1 ერთეულით იზრდება, ხოლო თავისუფალი  $\text{SO}_2$ -ის ზრდა ვერ უზრუნველყოფს პოტენციალის შენარჩუ-

ნებას. აქედან გამომდინარე, უმჯობესია, ღვინოში დაბალი ჟანგვა-ალდგენით პოტენციალის შენარჩუნებისათვის მოვე-რიდოთ მასში ჟანგბადის ზედმეტად გახსნას, ვიდრე ეს ხარ-ვეზები შემდეგ  $\text{SO}_2$ -ის ჭარბი დოზებით გამოვასწოროთ.

ჩამოსხმიდან 2 თვის შემდეგ ღვინის ჟანგვა-ალდგენითი პოტენციალი ( $r\text{H}_2$ ) 16,8—17,8-მდე მცირდება, სამი თვის შედეგ კი — 15,3—17,0-მდე.

განსაზღვრის შედეგებიდან ჩანს, რომ ღვინო საკმაოდ ალდგენილ მდგომარეობაშია ჩამოსხმიდან ორი-სამი თვის შემდეგ. ამ დროს ღვინოში საერთო ჟანგბადი კვალის სახი-თაა, ხოლო ერთი წლის შემდეგ სრულიად არ არის,  $r\text{H}_2$  უახლოვდება 14-ს და ღვინო მთლიანად ალდგენილ მდგომა-რეობაშია.

დეგუსტაციის შედეგებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ნაკლებდაუანგული ღვინის დადებითი თვისებები მაქსიმუმს აღწევს მაშინ, როდესაც ალდგენილ მდგომარეობაშია, ამიტომ საჭიროა ღვინო მომხმარებელმა მიიღოს ჩამოსხმიდან 2—3 თვის შემდეგ. კიდევ უფრო უკეთესი მაჩვენებლებით ხასიათ-დება ერთი წლის ჩამოსხმული ღვინოები. ნაკლებდაუანგული ღვინოები ამღვრევისადმი სტაბილობას წლების განმავლო-ბაში ინარჩუნებს.

## చ 0 6 1 1 6 0

నాకల్యోపదాయాన్‌గుల్లి ల్విన్‌నోబిస్ ఫారమోబిస్ తానామ్‌డార్‌నోవ్ మధ్యమార్కింగ్	3
ల్విన్‌నోబిస్ మిమిసిన్‌నోర్జ్ శాన్‌గ్వా-అండ్‌గ్వెన్‌నితి బ్రాంచ్‌ప్రైస్‌బిస్	6
నాకల్యోపదాయాన్‌గుల్లి స్ట్రోఫ్‌రోస్ ట్రేటర్లో ల్విన్‌బిస్ ఫారమోబిస్ ర్యాజ్‌నో- ఎంగోప్పుర్రి తాగ్‌సిస్‌బ్లూర్జ్‌బాన్‌ని	11
నాకల్యోపదాయాన్‌గుల్లి స్ట్రోఫ్‌రోస్ ట్రేటర్లో ల్విన్‌నోబిస్‌సాత్‌బిస్ శేస్‌ష్టోగ్‌ల్లిల్‌ గాళిస్ కిష్మేబిస్ సామ్‌యూర్‌న్‌ఎ-ర్యాజ్‌నోల్‌ఎంగోప్పుర్రి డాచ్‌సింట్‌గ్రెబా	22
తాగ్‌సిస్‌బ్లూర్‌లో డా సాగ్‌రాత్రి $\text{SO}_2$ -బిస్ ప్రొమ్‌బాం‌పండ్‌బా నాకల్యోపదాయాన్‌గుల్లి ల్విన్‌బిస్ ఫారమోబిస్ డార్‌బిస్	37
నాకల్యోపదాయాన్‌గుల్లి ల్విన్‌నోబిస్ డాయాన్‌గ్వోబిస్ కొర్‌బిస్‌బిస్ శాన్‌గ్వా-అండ్‌గ్వెన్‌నితి చౌర్యెన్‌ప్రొస్‌బిస్ డా శాన్‌గ్వోబిస్ రొప్‌బ్రోబిస్ మిథ్‌డ్రెషిట	41

რედაქტორი ც. ფირცხალავა  
 მხატვარი ო. მესხი  
 მხატვრული რედაქტორი ნ. ოქრუაშვილი  
 ტექნიკური რედაქტორი ნ. აფხაზავა  
 კორექტორი ნ. თავაძე  
 გამომშვები გ. ბენიძე

გადაეცა წარმოებას 1/VI-73 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/X I-73 წ.  
 საბეჭდი ქალალდი № 3. ზომა 70×108<sup>1/32</sup> პირობითი ნაბეჭდი თაბახი 2,1

სააღრ.-საგამომც. თაბახი 1,61

უ 01537

ტირაჟი 500

შეკვ. 5276

ფასი 4 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
 თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა,  
 პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო  
 კომიტეტის მთავარპოლიგრაფრეწველობის სტამბა № 5,  
 ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 11.

Типография № 5 Главполиграфпрома Государственного комитета  
 Совета Министров Грузинской ССР по делам издательств,  
 полиграфии и книжной торговли.  
 г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 11.



Министерство пищевой промышленности  
Грузинской ССР «САМТРЕСТ»

Кохрейдзе Гульери Афрасионович  
**Технология малоокисленного столового  
белого вина**

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»  
Тбилиси, Марджанишвили, 5.  
1974

საქართველო  
2022 წლის 10 მეტე

კარლაგანცის ეროვნული ბიბლიოთეკა



K 44.261/2